

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს
„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2024 წლის 31 ოქტომბრის
სხდომის ოქმი №2

ქ. ახალციხე

2024 წელი, 31 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნუგზარ თათეშვილი
2. ომარ ჯაყელი
3. გიორგი ბუცხრიკიძე
4. მერაბ ბერიძე
5. მაკა ბერიძე
6. შალვა ტაბატაძე
7. ნიკოლოზ ხიზაძე
8. ციური ლაფაჩი
9. ვასილ კვინცხაძე
10. რომან მაისურაძე
11. მეგი თათეშვილი
12. ნანა იოსელიანი

სხდომას არ ესწრებოდნენ „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ცირა მესხიშვილი
2. ბელა ავალიშვილი

3. ნონა ონიანი
4. მია გაჩეჩილაძე
5. აშოთ კავალერიან
6. გურამი ჯინჭველაძე
7. ბიჭიკო მოდებაძე
8. თამარ კაპანაძე
9. ნინო ხაზალაშვილი
10. ნათია ტაბლიაშვილი
11. ნატალი სისვაძე

დღის წესრიგი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;
2. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სამომავლო გეგმები;
3. საბჭოს წევრების რეკომენდაციები და ინიციატივები;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერი ირაკლი ლაზარაშვილი უძღვებოდა. შეხვედრას მერის მოადგილეები ილია ზარდიაშვილი და რუბენ კარაპეტიანი ესწრებოდნენ.

დღის წესრიგის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა შეხვედრის მონაწილეებს 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. მან დეტალურად ისაუბრა, როგორც განხორციელებულ, ისე მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე და აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მოსახლეობისათვის გაწეულ დახმარებაზე, კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებზე, ასევე სამომავლო გეგმებსა და არსებული პრობლემების მოგვარების გზებზე.

აქცენტი გაკეთდა გაზრდილ ბიუჯეტზე და მის ძირითად პრიორიტეტებზე. ესენია: **ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვა, განათლება და კულტურა.** აღინიშნა, რომ ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც ორიენტირებულია მოსახლეობის მხარდაჭერაზე, ცხოვრების დონის ამაღლებაზე და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა - 32, 4 მილიონი ლარით, ხოლო 30 ოქტომბრის მდგომარეობით - 56 143,0 მილიონ ლარს შეადგენს;

2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები 30 ოქტომბრის მდგომარეობით პროგრამების მიხედვით: ბიუჯეტიდან სულ გაიხარჯა 39 264,0 მილიონი ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება - 9 480,0 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 29 784,0 მილიონი ლარი.

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის - 19 655,0 მილიონი ლარი.
- დასუფთავება და გარემოს დაცვისთვის - 3 249,0 მილიონი ლარი.
- განათლებისთვის - 4 730,0 მილიონი ლარი.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით - 4 931,0 მილიონი ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის -1 590,0 მილიონი ლარი.

ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ 2024 წელს ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით ხორციელდება 136 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 20 მილიონ ლარს აჭარბებს. დღეის მდგომარეობით, 56 პროექტი დასრულებულია, ხოლო ნაწილი აქტიურ ფაზაში, ნაწილი კი დასრულების ეტაპზეა.

ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსების წყაროების მიხედვით: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 20 პროექტი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 56 პროექტი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - 46 პროექტი, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 24 პროექტი, მთის ფონდი - 2 პროექტი, სტიქიის სალიკვიდაციო ფონდი - 2 პროექტი.

მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12 მასშტაბური პროექტი განხორციელდა.

- ქალაქ ახალციხეში, ხანძთელის, მთაწმინდელის და თამარაშვილის ქუჩების გზის რეაბილიტაცია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში შიდა გზების რეაბილიტაცია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურაველში შიდა გზებისა და აგარების მონასტრის გზის რეაბილიტაცია;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წინუბნის და ქალაქ ვალეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის გზის და დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;
- ქალაქ ახალციხეში გამსახურდიას ქუჩის გზის რეაბილიტაცია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდეში გზის რეაბილიტაცია და საყრდენი კედლების მოწყობა;
- სოფელ კლდეში მონოლითური რკინაბეტონის ხიდის მშენებლობა;
- ქალაქ ახალციხეში, სხვადასხვა ქუჩებზე საავტომობილო გზების, საფეხმავლო ბილიკების, კორპუსების ეზოებისა და საპარკინგე ადგილების მოწყობა-რეაბილიტაცია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სამელში შიდა ქუჩებზე გზის რეაბილიტაცია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში საყრდენი კედლების რეაბილიტაცია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების აწყურისა და თისელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია: ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელში განხორციელდა წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია;

სარწყავი წყლის სისტემების რეაბილიტაცია: ქალაქ ვალეს ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა ორი მასშტაბური პროექტი - ე.წ. „ბორახჩის“ და ე.წ. „წისქვილების“ სარწყავი სისტემის სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია; მიმდინარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილიში სარწყავი სისტემის სატუმბო სადგურის (ე. წ. "ფარეხას") სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე, მიმდინარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქი ვალეში "კორაშენი"-ის, ვალის II შახტის დასახლებისა და სოფელ სხვილისის სარწყავი და სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის უზრუნველყოფა.

ხიდების რეაბილიტაცია: სოფელ კლდეში მოეწყო მონოლითური რკინა ბეტონის ხიდი, ხოლო ყაზბეგის ქუჩაზე გრძელდება არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

საბავშვო ბაღები: ახალი საბავშვო ბაღი აშენდა სოფელ აგარაში; მიმდინარეობს სოფელ მუსხის, ქალაქ ახალციხის №2 და №4 საბავშვო ბაღების მშენებლობა; განხორციელდა ქალაქ ახალციხის №5 საბავშვო ბაღის ღობისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები; მიმდინარეობს სოფელ აწყურის ახალი საბავშვო ბაღის პროექტირება.

შენობების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია: ქალაქის იერსახისა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი

სახლების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია. ამ დროისთვის დასრულებულია 13 პროექტი, დასრულების ეტაპზეა 1 პროექტი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“: პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა სახის 46 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შორის არის: შიდა გზები, გარე განათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, სკვერები და სხვა.

კულტურული ობიექტები, სკვერები და სპორტული მოედნები: რაც შეეხება, კულტურულ, სპორტულ და გასართობ ინფრასტრუქტურას, ამ მიმართულებითაც აქტიურად გრძელდება მუშაობა. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა სოფელ აწყურის კულტურის სახლში, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოეწყო.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ახალი სკვერის მშენებლობა დასრულდა ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა №111-ში. პროექტის ღირებულება - 988 153 ლარია. მოეწყო დასასვენებელი სივრცეები, გამწვანების ზოლი, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნები;

გარდა ამისა, მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით განხორციელდა ქალაქ ახალციხესა და სოფლებში ახალი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების და სკვერების მოწყობა. სპორტული მოედნები მოეწყო სოფელ წყრუთში, ქალაქ ახალციხეში გორის ქუჩა N 40-ის მიმდებარედ, სოფელ მინამეში კი დასრულების ეტაპზეა ახალი სკვერის მშენებლობა. გარდა ამისა, ქალაქ ახალციხეში კოსტავას და 9 აპრილის ქუჩებზე მიმდინარეობს სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ყაზბეგის ქუჩაზე არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია უახლოეს ხანში დაიწყება

გარე განათების სისტემები: ადგილობრივი ბიუჯეტიდან და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 5 მასშტაბური პროექტი ხორციელდება. გარე განათების სისტემები დამატებით ქალაქ ვალესა და 22 სოფელში ეწყობა;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება: ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები და სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ამ მიმართულებით ადგილობრივ ბიუჯეტში 2 179 456 ლარია გათვალისწინებული.

2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარების გაცემის წესი 27 პროგრამული მუხლისაგან შედგება, საიდანაც პირველი 7 მუხლით განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება, ხოლო დანარჩენი 20 მუხლი კი მოიცავს სოციალური დახმარების პროგრამებს.

მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, მერიის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით ისარგებლა 4071-მა ბენეფიციარმა, რისთვისაც 1 547 171 ლარის ოდენობის თანხა დაიხარჯა. მათ შორის, ჯანდაცვის ქვეპროგრამებით დახმარება გაეწია 2168 ბენეფიციარს, ხოლო სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებით 1903-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ბენეფიციართა ნაწილს, კი რომლებიც „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით“ გათვალისწინებული პირობებს ვერ აკმაყოფილებენ, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა და შესწავლის საფუძველზე მერიის სარეზერვო ფონდიდან ეწევათ დახმარება.

აქცენტი გაკეთდა, შშმ პირების ხელშეწყობის მიზნით მოქმედ სხვადასხვა პროექტებზე. მიმდინარე წელს 38 უსინათლო/მცირემხედველი ბენეფიციარისათვის შეძენილი იქნა 20 ერთეული ხმოვანი არტერიული წნევის და 18 ერთეული ხმოვანი სისხლში შაქრის საზომი (გლუკომეტრი) აპარატი. აღნიშნული პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წლებია მიმდინარეობს „უსინათლო/მცირემხედველ პირთა ფსიქოლოგიური და ფიზიკური გაჯანსაღების“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციარების ადაპტირებულ დასასვენებელ (სახლში) გარემოში დასვენებას. მიმდინარე წელს პროგრამით ისარგებლა 10 ბენეფიციარმა.

ირაკლი ლაზარაშვილმა ისაუბრა მუნიციპალიტეტში **საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებასთან დაკავშირებით**. აღინიშნა რომ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის დაწესებულია გარკვეული შეღავათები. მერიის გადაწყვეტილებით უფასოდ მგზავრობენ სკოლების მოსწავლეები, ვეტერანები, ხოლო 50%-იანი შეღავათით სარგებლობენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მერმა ასევე ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების განვითარება-გაძლიერების საკითხს და ქალაქის იმ უბნების მოცვას, სადაც ამ ეტაპზე ავტობუსები ვერ მოძრაობენ. მომავალ წელს ამ მიმართულებით იგეგმება ავტო პარკის შევსება შედარებით პატარა სამარშრუტო ტრანსპორტით.

განათლება, კულტურა და სპორტი: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურს მიმდინარე წელს გამოყოფილი ჰქონდა 577 333 ლარი. 2024 წელს, ოქტომბრის თვის ჩათვლით სამსახურის ორგანიზებით გაიმართა 83 ღონისძიება, რისთვისაც გაიხარჯა 430 350 ლარი. მათ შორის: განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის და ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარდა 49 ღონისძიება, ხოლო კულტურისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მიერ ჩატარდა 34 ღონისძიება;

აღსანიშნავია, რომ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქვეპროგრამის **„ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“**, ფარგლებში, მერის სტიპენდია მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წარჩინებულმა სტუდენტმა, ფულადი წახალისების სახით გაიცა 40 ათასი ლარი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, გასული წლიდან ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულთა **100 პროცენტის სასწავლო გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოს გაცემის პროგრამა**. 2024 წელს 100 პროცენტის გრანტი მოიპოვა სამმა პირველკურსელმა, რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმატებით ხორციელდება **„სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა“**, რომლის საერთო ღირებულება 371 485 ლარია. პროგრამის ფარგლებში სრულდება 46 მარშრუტის 121 მიმართულება, რითაც სარგებლობს 19 სკოლის 766 ბენეფიციარი.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები გაეცნენ 2025 წლის გეგმებსაც. ირაკლი ლაზარაშვილმა დეტალურად ისაუბრა იმ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც იგეგმება მომავალი წლიდან. ესენია: სპორტსკოლის რეაბილიტაცია, კულტურის სახლის (კინო-კლუბის) მშენებლობა, ახალი სამუსიკო სკოლის მშენებლობა და სხვა. აღინიშნა, რომ სპორტსკოლის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ფარგლებში მოეწყობა 300 მაყურებელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურა, სადაც მეცადინეობებთან ერთად, შესაძლებელი იქნება ჩატარდეს ჩემპიონატები და შეჯიბრებები. ასევე, დასრულების ეტაპზეა საცურაო აუზის მშენებლობა, შედეგად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სპორტული სივრცე შეემატება ქალაქს. რაც შეეხება კულტურის სახლს, რუსთაველის ქ. №124-ში ყოფილი კინო-კლუბის ადგილზე აშენდება ახალი შენობა, სადაც პროექტის შესაბამისად მოეწყობა 250 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი, 50 კაციანი კინო-დარბაზი და მედიათეკა.

მასშტაბურ პროექტებს შორისაა სამუსიკო სკოლისათვის ახალი შენობის აშენება, სადაც მოეწყობა საკონცერტო დარბაზი და საკლასო ოთახები, ხოლო, არსებულ შენობას, დაუბრუნდება პირვანდელი, ორბელიანების სასახლის სახე, სადაც მოეწყობა მაღალი დონის ხელოვნების ცენტრი, საგამოფენო და კულტურული ღონისძიებებისათვის საჭირო სივრცეებით. მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამახვილა მოსწავლე-ახალგაზრდების ხელშეწყობის მნიშვნელობასა და მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ზარზმის ბავშვთა აკადემიის მხარდაჭერაზე.

თავის მხრივ, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით და თავისი იდეები და წინადადებები გააცნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს.

საბჭოს წევრი, **ნუგზარ თათეშვილი** დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ასპინძისა და გვარამაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული სკვერისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. მერმა განაცხადა, რომ პროექტი მზად არის და მომავალი წლის პრიორიტეტების ნუსხაშია აღნიშნული სივრცის რეაბილიტაცია. ახალი მეთოდით მოეწყობა ქალაქში 5 სპორტული მოედანი და მათ

შორის არის სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მოედანიც. გარდა ამისა მომავალ წელს დაიწყება პროექტირება სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, რაც საკმაოდ მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტი იქნება ქალაქისთვის.

საბჭოს წევრმა **ციური ლაფაჩმა** დადებითად შეაფასა როგორც წარმოდგენილი ანგარიში, ისე 2025 წელს დაგეგმილი პროექტები და წარმატებები უსურვა მუნიციპალიტეტს.

საბჭოს წევრი, **მეგი თათეშვილი** დაინტერესდა საცურაო აუზის მშენებლობის დასრულებისა და მისი ამოქმედების შემდეგ იმ ბავშვებისათვის, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან შესაძლებელი იქნება თუ რაიმე სახის შეღავათების დაწესება. ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი მზად არის გარკვეული შეღავათები დააწესოს ან დააფინანსოს მომსახურება.

საბჭოს წევრმა, **ნანა იოსელიანმა** გაამახვილა ყურადღება ქალაქში უპატრონო და მიუსაფარი ცხოველების პრობლემაზე. ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტი ფარეხის ტერიტორიაზე ცხოველთა თავშესაფრის მოწყობას გეგმავს.

საბჭოს წევრმა, **ვასილ კვინცხაძემ** დადებითად შეაფასა რუსთაველის ქუჩა №111-ში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტი, რის შედეგადაც ქალაქს კიდევ ერთი ახალი გასართობი და რეკრეაციული ზონა შეემატა და ადგილობრივი მაცხოვრებლების სახელით მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. როგორც ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა მიმდებარე ტერიტორიაზე განაშენიანების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება, ამ ეტაპისთვის კი რუსთაველის ქუჩა №124-ში მიმდინარეობს 700 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის მშენებლობა.

სხდომის დასასრულს მერმა მადლობა გადაუხადა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ თითოეულ წევრს თანამშრომლობისათვის.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნუგზარი თათეშვილი



2 ცირა მესხიშვილი

3 ბელა ავალიშვილი

4 ომარი ჯაყელი



5 ნონა ონიანი

6 აშოთ კავალერიან

7 გურამი ჯინჭველაძე

8 მაია გაჩეჩილაძე



9 ბიჭიკო მოდეზაძე


10 გიორგი ბუცხრიკიძე




11 მერაბი ბერიძე



12 მაკა ბერიძე




13 შალვა ტაბატაძე



14 ნიკოლოზ ხიზაძე



15 ციური ლაფაჩი



16 ვასილი კვინცხაძე



17 თამარ კაპანაძე

18 ნინო ხაზალაშვილი

19 რომან მაისურაძე



20 ნათია ტაბლიაშვილი

21 ნატალი სისვაძე

22 მეგი თათეშვილი



23 ნანა იოსელიანი